

ფიქრები გამოფენაზე

წერლობაში ეჭვის თვალთ უყურებენ პერიოდებად დაყოფას, ალბათ ასეა მხატვრობაშიც (თუმცა არავინ უარყოფს პიკასოს „უთვალავ“ პერიოდებს). რა არის ამოსავალი ამ ეჭვის? უთუოდ ამოსავალი უფრო მეტი სიღრმეებიდან მოდის, ვიდრე ამას ეჭვიანი აცნობიერებს. მართლაც, თუ აღამიანი ერთი მთლიანობაა, რომლის მანიფესტაცია (არა განვითარება) ხდება დროში და სივრცეში, ხელოვანზე რაღა ითქმის? ერთია ნოუმენი და ბევრი ფენომენი. რასთან გვაქვს ჩვენ საქმე ხელოვნებაში? თავად სემანტიკა ამ სიტყვისა გვეუბნება, რომ – ფენომენტთან, მით უმეტეს, როცა სახვით ხელოვნებას ვეხებით; ნახატები ხომ გამოვლინებებია – явления, ფენომენები (ამოსავალი ენის სემანტიკით: „ის, რაც ჩენილია“). მაგრამ ეს ყველაფერი – ხელოვნების საჩინო მხარე თავის წყაროს მეტაფიზიკურ მხარეში პოულობს, იქ, სადაც ნოუმენებია. იქ არის თავისი არსებით ფენომენურ ხელოვნებათა დასაბამი, სადაც თავს იყრის ყოველი არსის (მისი ლათინური – ars და ქართული მნიშვნელობით) მრავალფეროვანი სიმრავლე. „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაითამე ერთსა“ (პროკლე იოანე პეტრიწით). მაგრამ მივუბრუნდეთ პერიოდებს: ახალი ინტერესები, ახალი თვალი, ახალი თემები სრულიად არ მოწმობს მათ არსებობას დროში მონაცვლეობის სახით – მეტაფიზიკურ, ნოუმენურ მხარეში მათ არა აქვთ არც სივრცული, არც დროუამული განზომილება. როცა დროუამულ პერიოდებზე ლაპარაკობენ მხედველობაში ისიც აქვთ, რომ შემოქმედი იზრდება – ნაკლულობიდან სისავსეში (მოწიფულობაში) შედის. ის, როგორც ბავშვი, ჯერ სიარულს სწავლობს, ნაბიჯებს ადგამს, სწავლობს წინსვლას ანუ აღწევს პროგრესს (progressus „წინსვლა“). არ უარყოფ, რომ ეს ასეც არის ბევრ შემთხვევაში, რომელსაც წესად ქცევის ტენდენცია აქვს. მაგრამ ეს ვერ გადაიქცევა გარდაუვალ წესად. ამის თვალსაჩინო მაგალითი ეს გამოფენაა. ამ გრაფიკის თარიღები მისი ავტორის დაბადების წელთან მიმართებაში თვალწინ წარმომიდგენს ხეს, რომელსაც ფესვები ცაშია აქვს გადგმული, ვარჯი კი – იქ, სადაც ფესვები უნდა იყოს. ანუ ეს ხატი სრულიად არღვევს დროუამულ განზომილებას, უფრო, სწორად, აუქმებს მას. გადავყავართ იმ მხარეს, სადაც წინანი უკან მოექცევიან, ხოლო უკანანი წინ. აქ თავიდანვე ვხედავთ სრულყოფილებას, რომელიც ხის საზრისში – მის ნატიფ ფოთლებშია გამოსატყული. რა უძღვის წინ ამ ნატიფ ქმნილებებს, ამ სრულყოფილ მონახაზებს? ფესვები, რომლებიც ციდან მოდის და ცაშია დაფარული? დღეს მხატვარი ნახევარი საუკუნის შემდეგ იმთავითვე მიღწეულ სრულყოფილებას იძკის.

ზურაბ კიკნაძე

2005, სექტემბერი